

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

pruidzenana64@gmail.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.59>

დავით სარდალი - პოეტი და მთარგმნელი

საკვანძო სიტყვები: დავით სარდალი, ყარამანიანი.

დავით სარდალის, ანუ დავით რევაზის ძე ორბელიანის (1716-1796) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი ვიცით. ცნობილია, რომ 1768 წლიდან მეფის სახლთუხუცესის თანამდებობა ეჭირა. 1772 წლიდან კი მეწინავე სადროშოს სარდალი გახლდათ. ასპინძის ომში მას საარაკო თავდადება გამოუჩენია, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია მტრის დამარცხებაში. სწორედ მის გმირობას უძღვნა სახოტბო პოემა „ასპინძის ომი“ დავით სარდალის უახლოესმა მეგობარმა, პოეტმა ბესიკმა. მიუხედავად იმისა, რომ დავით ორბელიანი მეფის ასულ თამარზე იყო დაქორწინებული და დიდი დამსახურებაც ჰქონდა სამეფო კარის წინაშე, მასა და ერეკლე მეფეს შორის ურთიერთობა მაინც დამაბუღლა, თუმცა უცნობია, რა იყო განხეთქილების მიზეზი.

დავით სარდალს იმ დროისათვის შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებული, ფლობდა აღმოსავლურ ენებს. სპარსეთში დიპლომატიური მისიით ყოფნისას გაეცნო „ყაჰრამან ნამეს“; როგორც ჩანს, საინტერესო საკითხავად მიიჩნია, რაკი სპარსული ხელნაწერი სამშობლოში ჩამოიტანა და ათ წელზე მეტი შეაღია მის თარგმნას. დავით ორბელიანი პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული; ჩვენამდე მოღწეულია მისი „პირზე გაქვს ხალი“, რომელიც საკმაოდ პოპულარულ სასიმღერო ლექსად ითვლებოდა (მელოდია ჩაიწერა დ. არაყიშვილმა). საინტერესოა, რომ ეს ლექსი დ. ჩუბინაშვილმა თავდაპირველად შეცდომით მიაკუთვნა ბესიკს და ასეც დაბეჭდა თავის „ქრესტომათიაში“, თუმცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდებში დაცული ხელნაწერების საფუძველზე დადგინდა ნამდვილი ავტორის ვინაობა. ამის თაობაზე ალ. ბარამიძე გვაწვდის ინფორმაციას „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ წინასიტყვაობაში: „დავით სარდალის ლექსი ამოღებულია წ.კ. #3686 ხელნაწერიდან და #3723-თან არის შეწამებული“ (ანთოლოგია...1928:14). „ყარამანიანის“ სპარსული ტექსტი ლექსჩართული პროზაა. დავით სარდალს, როგორც გაწაფულ პოეტს, ლექსადვე გადმოაქვს ქართულ თარგმანში დედნის პოეტური ფრაგმენტები, რისთვისაც 16 მარცვლიან რუსთველურ შაირს იყენებს.

ქართველი მკითხველი „ყარამანიანს“ XVIII საუკუნის 70-იან წლებში გაეცნო. კ. კეკელიძის დაკვირვებით, რაკი „ყარამანიანი“ შეტანილია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილისეულ კრებულში, რომელიც 1774-1779 წლებშია გადაწერილი, თხზულება გადმოთარგმნილი უნდა იყოს 1762-1774 წლებში (კეკელიძე, 1981: 354).

„ყარამანიანი“ საგმირო-საფალავნო ჟანრის თხზულებაა. სპარსულ ორიგინალს „ყაჰრამან ნამე“ (ყარამანის წიგნი), ანუ „დასთანე ყაჰრამანე ყათილ“ (ამბავი ყარამან მკვლელისა) ჰქვია. ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, ამ თხზულების ავტორად ვინმე აბუ თაჰერ იბნ ჰასან იბნ ალი იბნ მუსა ტარსუსი თვლება, XIV საუკუნის მოღვაწე. საინტერესოა, რომ ამ ცნობას იმეორებს „ყარამანიანის“ რამდენიმე ქართული ხელნაწერი (A 680, H – 1655 და სხვანი): „პირველად წიგნისა ამის სპარსულად აღმწერელსა თათუს ჰაქიმი სწოდებია“ (ყარამანიანი, 1965: 46). ფიქრობენ, რომ ტარსუსი (თათუსი) ნამდვილი გვარი არ არის და გეოგრაფიული სახელისაგან ნაწარმოები ზედწოდებაა (ისევე, როგორც რუსთველი). ტარტუსი სხვა „ნამეების“, ანუ წიგნების ავტორადაც მიიჩნევა, თუმცა ქართულ ენაზე „ყარამანიანის“ გარდა არაფერია თარგმნილი.

ცნობილია „ყარამანიანის“ მოკლე და ვრცელი ვერსიები. ქართული „ყარამანიანი“, რომელიც 16 კარადაა დაყოფილი, ემთხვევა სპარსულ მოკლე რედაქციას. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ვრცელი რედაქცია არ არის თხზულების დამოუკიდებელი ვერსია და ის მხოლოდ თავდაპირველი ტექსტის განვრცობილი ვარიანტია.

„ყარამანიანი“ ამ ტიპს სხვა თხზულებების მსგავსად, განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ მკითხველის ინტერესს იწვევს პერსონაჟთა ინდივიდუალიზმი, რაინდული ორთაბრძოლებისა თუ ზოგადად, ბატალური სცენების შთამბეჭდავი აღწერა, პარალელური სიუჟეტური წიაღსვლებით ძირითადი ამბის გამდიდრება, გამიჯნურებულ წყვილთა რომანტიკული თავგადასავლების მოთხრობა და ა. შ. თუმცა, როგორი მიმზიდველი სიუჟეტიც უნდა ჰქონდეს დედანს, თუკი მთარგმნელს სათანადო ოსტატობა არ გააჩნია, შედეგრიც შეიძლება გაუფერულდეს და ახალ ენობრივ გარემოში ახალი სიცოცხლე ვერ შეიძინოს. ფაქტია, რომ დავით სარდალმა ამოცანას ღირსეულად გაართვა თავი. ჩვენ არ ვიცით, „ყარამანიანი“ მისი, როგორც მთარგმნელის სადებიუტო ნამუშევარია თუ უკვე ჰქონდა ამ კუთხით გარკვეული გამოცდილება, თუმცა ის კი აშკარაა, რომ ქართულ სინამდვილეში მხატვრული თარგმანის შესრულების მეტ-ნაკლებად აპრობირებულ მეთოდს იყენებს (როგორც „ვისრამიანის“ შემთხვევაში).

დავით სარდალი, როგორც მთარგმნელი, ცდილობს დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული ტექსტის შექმნას. იგი ზედმიწევნით ზუსტად თარგმნის ტექსტს იმ შემთხვევებშიც კი, როცა ქართული ენისათვის მთლად ბუნებრივად არ ჟღერს ფრაზა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც მიმართვის ფორმა: „ჰეი, შარიელო...“, „ჰეი, შვიდთა იყლიმთა მპყრობელო ...“, „ჰეი, ფალავანო...“. „ჰეი, ხელმწიფეო!“, „ჰეი, უცხოელო!...“, „ჰეი, სახელოვანო რაინდო!“, „ჰეი, სიცოცხლისა ჩემის კავშირო...“, „ჰეი, აიართა უხუცესო...“ და ა.შ. თხზულების მხოლოდ პირველ კარში „ჰეი“-ს გამოყენების 39 შემთხვევაა. შორისდებულის ჩართვა მიმართვის ფორმაში ქართულშიც მიღებული იყო, თუმცა არა ამ სახით - „ჰეი“. შრდ.: „ჰე, ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა...“ (2,1). „ჰე, მეფეო, რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?“ (116, 2), „ჰე, ვაზირო, შეგეტყობის, სიყვარული არ თურ იცი“ (752,2). „იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად...“ (845,1) და ა. შ. „ჰე“ შორისდებულის გამოყენება 22-ჯერ დასტურდება მიმართვისას „ვეფხისტყაოსანში“ და „ჰეი“ -სა კი არცერთხელ. რასაკვირველია, მთარგმნელს შეეძლო, „ყარამანიანის“ ტექსტში ქართულისათვის უფრო ბუნებრივი „ჰე“ ფორმის გამოყენება, მაგრამ ასე არ იქცევა, რათა დედანს არ დაშორდეს.

დავით სარდალმა, რასაკვირველია, იცის, რომ „მურასა“ სპარსული სიტყვაა და რომ მას ქართული შესატყვისიც აქვს: „**მურასა** - სპარსთა ენაა, ქართულად მოოჭვილი ჰქვიან“ (ორბელიანი, 1949:426). მიუხედავად ამისა, ის ყველგან „მურასას“ იყენებს:

„უშანგ-შაჰმა **მურასა სვეტიანი** უცხო კარავი დადგმევინა“, **„მურასა ზოსტერი** წელთა ეკრა..“, „საფალევნო **მურასად მოჭედელი სკამები** დაედგათ..“, „თავით და ფეხით **მურასა შანდლებით** სანთელი ენთო“...და ა. შ. თუმცა სიტყვას „მურასა“ მთარგმნელი ზოგჯერ „ძვირფასის“/„მშვენიერის“ მნიშვნელობითაც იყენებს: „ნახა, რომ ერთი **მურასად მორთული ქალი** ზღვის ოდენ ლაშქარს ებრძვის...“ ან „მათთან ორმოცდა ოთხნი **მურასად მორთულ-მოკაზმულნი** სხვა აიარნი მოვიდნენ“.

თავის დროზე ნიკო მარმა აღნიშნა, რომ მხატვრული თარგმანის სიზუსტე მხატვრულ სახეთა და ლექსიკურ შესატყვისობათა მაინცდამაინც სრულ დამთხვევას და იდენტურობას არ გულისხმობს და არც შეიძლება გულისხმობდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მხატვრულიც აღარ იქნება თარგმანიო. ეს, რასაკვირველია, ასეა და, ვფიქრობთ, დავით ორბელიანსაც დაახლოებით ამგვარი პოზიცია უნდა ჰქონოდა, ამიტომაც შეიმჩნევა ტექსტში ქართველი მკითხველისათვის კარგად ნაცნობ ლექსიკურ შესატყვისებათა გამოყენების ტენდენცია. ასე, მაგალითად, მას შეუძლია დაწეროს, რომ რაინდი **შავ ცხენზე** შეჯდა და საომრად წავიდა, თუმცა, ჩვენი აზრით, მიზანმიმართულად არჩევს ასეთ ფორმას: „**შავსა ტაიჭსა** შეჯდა და მოედანს საომრად გავიდა“ (ყარამანიანი, 1965:30). მკითხველს უსათუოდ „ეცნობა“ „ვეფხისტყაოსნისეული“ დახასიათება ტარიელის ცხენისა:

„ანაზღად მოყმე გამოჩნდა კუშტი, პირ-გამქუშავია, ზედა ჯდა **შავსა ტაიჭსა**, - მერანი რამე შავია“ (209, 1-2).

მსგავს ტენდენციას ამჟღავნებს მთარგმნელი მაშინაც, როცა ტექსტში იმგვარ აფორისტულ გამოთქმას ხვდება, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიცაა“ დადასტურებული. კერძოდ, ის ცდილობს ზუსტად მიჰყვეს დედანს, თუმცა იყენებს მკითხველისათვის კარგად ნაცნობ ლექსიკას.მაგ.:

„ფალავანო! ვითარ იგრძენ, რომელ მე ქალი ვიყავ, ანუ ეგრედ რად გამკიცხეო? **თუცა ლომისა ხვადი ლეკვი ლომი იქნება, ძუცა ეგრეთვე ლომიო**“ (ყარამანიანი, 1965, გვ. 96).

შრდ.: „**ლეკვი ლომისა** სწორია, **ძუ** იყოს თუნდა **ხვადია**“ (40,4).

„ესრეთ მეცნიერნი და **ტკბილმოუბარნი** იყვნენ, რომელ, თუ ვსთქვა, **გველსა ხვრელით აღმოიყვანდნენ**“ (ყარამანიანი, 1965:116).

შრდ.: „**გველსა ხვრელით** ამოიყვანს ენა **ტკბილად მოუბარი**“ (910,4).

„რა ქალმან გრძნეულისა ეგეთი შემინება ისმინა, ეგრეთ თქვა: ესრედ მოშიშრისა ამხანაგისა **ყოლასა**, ღმერთო, **უყოლობა სჯობსო**“ (ყარამანიანი, 1965:85).

შრდ.: „**სჯობს უყოლობა** კაცისა მომდურავისა **ყოლასა**“ (776,4).

დავით სარდალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბატალური სცენების შთამბეჭდავად და, ამავე დროს, დამაჯერებლად გადმოცემას. მისთვის, როგორც სამხედრო პირისთვის, კარგადაა ცნობილი სხვადასხვა იარაღის მოხმარების ტექნიკა და, ზოგადად, ომის ხელოვნება, ამიტომ საომარი ეპიზოდების აღწერისას იგი ერთგვარად „საკუთარ სტიქიაშია“, თუმცა მაინც საგრძნობია „ვეფხისტყაოსნის“ „მხატვრულ სახეთა და ლექსიკურ შესატყვისობათა“ გავლენა; თუ ქვემოთ დამოწმებულ ამონარიდებს თვალს გადავავლებთ, აუცილებლად გაგვახსენდება ტარიელის მიერ ხატაელთა წინააღმდეგ გამართული ომი;

„ფალევან ვისმეს ოთხმოცი ათასი ფალევანი წინ წამოუყრია და ვითარ **შავარდენსა მტრედის გუნდი**, ეგრეთ ხოცვით მოსდევს... **რომელსაც კაცსა თავსა ხმალსა სცემდა, კაცსა**

და ცხენსა შუა გაჰკვეთდა; რომელსაც ერთს მეორეს შემოსტყორცნიდა, ორნივე უსულო იქნებოდნენ (ყარამანიანი, 1965:28).

„ [ყარამანიანი] მხეცს ქუსლი ჰკრა და მათ ლაშქარში გაერია. კაცს უნაგირიღამ მოხდიდა, მეორეს შემოსტყორცნიდა და ორნივე უსულოდ იქმნებოდნენ.... რომელსაც თავსა ხმალსა სცემდა, ცხენითურთ შუა გაჰკვეთდა; რომელსაც მხარეს შეუტევდა, მისგან ნახოცი მკვდარ-მკვდარზედ, გორასავით შედგებოდა“ (ყარამანიანი, 1965:70).

„ნახა, რომ ყარამანს პირბასრი ხმალი ხელთა უჭირავს, ექვს ფეხოვანს ნადირზედ ზის, ლაშქართა შუა შერევია, რომელ მხარესაც შეუტევს, მისს ომს ვერავინ ბედავს და მაშინვე მირბის თავიანთ თავის გადასარჩენად (ყარამანიანი, 1965:72).

შრდ: „შიგან ასრე გავერიე გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,

კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;

კაცი ჩემგან განატყორცი ბრუნავს ვითა ტანაჯორი,

ერთობ სრულად ამოგწყვიტე წინა კერძო რაზმი ორი. (453)

ერთობილნი მომეხვივნეს , მგრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;

ვკარ რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფრსა აღმოვღვრიდი,

ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავკიდი,

სითაც ვიყვი, გამეცქიან, მათ შექმნიან ჩემი რიდი“. (454)

ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ , „ყარამანიანშიც“ მტრის სიახლოვის უტყუარ ნიშანად „მტვერი“ სახელდება.

მაგ: „ქედსა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტვერი დავინახე;

ვთქვი თუ: „მოვა რამაზ მეფე, ჩემთვის უდგას თუცა მახე.“ (445, 1-2).

ან

„მოვა მტვერი საშინელი, შეგვაშინა ამაღ ამან,

ნუთუ სრულად ამოგწყვიდნეს უთვალავმან ბევრმან სპამან.“ (455, 3-4)

შრდ: „ინდოეთისა მხრითგან ერთი ლაშქართა მტვერი გამოჩნდა. რა

ჩრდილოსა ქარმან შებერა და მტვერი გარდაიყარა, სამასი დროშა

გამოჩნდა“ (ყარამანიანი, 1965:79)

„სამხრით კერძო ერთი მტვერი ადგა, რომელ ჰაერი დააბნელა, რა

მცირე ხანი გამოხდა, ჩრდილოთა კერძო ქარმან შებერა, მტვერი

გარდაიყარა, ორასი დროშა გამოჩნდა“ (ყარამანიანი, 1965:99).

როდესაც ცხენების სწრაფ ჭენებაზე სურს აქცენტის გაკეთება, მთარგმნელი რუსთველურ ფრაზებს იშველიებს:

„ცხენთა მათთა ნატერფალი ღრუბელთა სწვდებოდა“ (ყარამანიანი, 1965:98)

„მათისა ფერხისა ნატერფალმან ესეთი მტვერი შექნა, რომე ჰაე-

რი დააბნელა და ლაშქარნი ერთმანერთს ვეღარა ხედევდიან“ (ყარამანიანი, 1965:99)

შრდ: „ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წარუხმიდეს...“ (78,1)

ყველას გვახსოვს „ვეფხისტყაოსნის“ ის ეპიზოდი, როდესაც ავთანდილი ხატაელი მძეგის დახმარებით ტარიელის კვალს დაადგება, თუმცა არ ჩქარობს დაეწიოს რაინდს, რადგან იცის, დაუფიქრებელი საქციელი ამდენი ხნის ტანჯვა-წამებას წყალში ჩაუყრის.

„მიეწურა, იგონებდა ახლოს შეყრა ვითა აგოს,

საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს...(220, 1-2)

ავთადილ იტყვის ეზომნი ჭირნიმცა რად ვაცუდენი,

რაცალა არის, არ არის, თუცა არ ედგნეს ბუდენი,

სადაცა მივა, მივიდეს, რაზომც მოვლიდეს ზღუდენი“.. (222, 1-3)

„ყარამანიანის“ პერსონაჟებიც ცდილობენ არ აჩქარდნენ, რომ საქმე არ გააფუჭონ და „ჭირნი არ გააცუდონ“; მაგ.:

„ყათრანმა უთხრა: „ჩვენ **თუ ერთს ღონეს რასმეს არ მოვიგონებთ, მისი პირისპირ ომი არ შეგვიძლიან, თუ ხელოვნებით არას ვეცდებით**, სხვა ღონე არა არის რაო“ (ყარამანიანი, 1965:34)

ან

„მეცა მსწრაფლ მშვილდსა და ისარსა ხელი მივყავ და სიკვდილსა მისსა ვლამობდი. მერმე ვიფიქრე და ეგრე ვთქვი: **აწ თუცა მოვკლა, ესეოდენი ჭირნახული გამიცუდდების-მეთქი**“ (ყარამანიანი, 1965:52).

„ყარამანიანის“ ტექსტში ხშირია ე.წ. რუსთველური ლექსიკის გამოყენება.

„მინდორი სრულად ლაშქრითა სავსე იყო, რომელ **თვალი არ გარდასწვდებოდა**“ (ყარამანიანი, 1965:64)

შრდ: „ცხეს ვზი ეგზომ მაღალსა, **თვალნი ძლივ გადასწვდებიან**“.. (1300,1)

„...წუხელის რაჰინდისა ლაშქართა შიგან შემოვიდა და ერანთა **პერობილნი ფალავანნი ააზატაო**“ (ყარამანიანი, 1965: 108)

შრდ: „ორისაგან ერთი მიყავ - ტყვე მქმენ ანუ **მააზატე**“ (251,3)

ამ ტიპის მაგალითები უხვად შეგვიძლია დავიმოწმოთ. ვფიქრობთ მთარგმნელის მიერ შერჩეული სწორი ტაქტიკამ - ერთი მხრივ ზედმიწევნითი სიზუსტის დაცვამ ტექსტის გადმოღებისას, ხოლო, მეორე მხრივ, კლასიკური ქართული ლიტერატურის - კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე ცოდნის წყალობით ეფექტური გამომსახველობითი საშუალებების შერჩევამ განაპირობა რომანის უმაგალითო წარმატება.

„ყარამანიანის“ პირველი თავების გამოცემა 1872 წლიდან დაწყებული, თუმცა მხოლოდ რამდენიმე თავი დაბეჭდილა. 1875 წელს „ყარამანიანის“ გამოცემა ითავა დ. ლაზარევმა და, მართალია, თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდა, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა. „ყარამანიანი“ XX საუკუნეშიც რამდენჯერმე გამოიცა. ყველაზე სრულფასოვანი გამოცემა განხორციელდა 1965 წელს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარია და სარგის ცაიშვილმა.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე წლის წინ მწერალი მარიამ წიკლაური თავის ბლოგში წერდა: „წიგნთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან ჰგავს ერთმანეთს ყველა დროში. ისიც ფაქტია, რომ ფანტასტიკური ლიტერატურისადმი ინტერესი ძალიან დიდია მაშინაც და ახლაც. ერთი მხრივ საინტერესოა, როგორ მიიღებდა ძველ „ბესთსელერებს“ ახლანდელი მკითხველი, რომელიმე გამომცემლობას რომ ეთავა „ყარამანიანის“ ახლებური გამოცემა?“ (<https://mariamtsiklauriauthor.wordpress.com/2019/07/19/>). ამ კითხვაზე პასუხს მალე მივიღებთ. სწორედ წელს, „ყარამანიანის“ ბოლო გამოცემიდან 60 წლის შემდეგ ერთ-ერთმა კერძო გამომცემელმა კვლავ დაიწყო ამ საგმირო-სარაინდო რომანის ბეჭდვა. წიგნი უხვადაა შემკული ფერადი ილუსტრაციებით, ტექსტი კი წარმოდგენილია როგორც ძველი, ისე თანამედროვე სახითაც. ვნახოთ, იქცევა თუ არა დავით სარდლისეული „ყარამანიანი“ „ბესთსელერად“ XXI საუკუნეშიც.

ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ. (1981): ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად, ტ. II, თბილისი.
2. ორბელიანი სულხან-საბა (1949): სიტყვის კონა (რედ. სოლ. იორდანიშვილი), თბილისი.
3. რუსთაველი შოთა (1966): ვეფხისტყაოსანი, თბილისი.
4. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია (1928): XVI-XVIII საუკუნეები: აღორძინების პერიოდი, ტ. II, თბილისი.
5. ყარამანიანი (რედ. ალ. გვახარია, ს. ცაიშვილი) (1965): თბილისი.

Nana Pruidze

Georgian University

Tbilisi, Georgia

pruidzenana64@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.59>

Davit Sardali - poet and translator

Abstract

Georgian readers got to know "Karamanian" in the 70s of the 18th century. "Kahrajman Name" was brought to Georgia by Erekle II's son-in-law, Davit Sardal. He had received an excellent education at that time, he knew oriental languages. He got acquainted with this text while on a diplomatic mission in Persia. Apparently, he considered it an interesting reading, because he spent several years translating it.

"Karamanian" became one of the most popular books in Georgia in the 19th century, which was tolerated by both high and low-ranking people. There was practically no family where, along with other books, the huge manuscript of "Karamanian" was not kept. Along with "Tigerskin", women were also given "Karamanian" in dowry. That is why it is not surprising that today we have many handwritten lists of "Karamanian".

"Karamanian" was not distinguished by special literary value for this type, like other works, although the reader was interested in the individualism of the characters, impressive description of knightly fights or battle scenes in general, enriching the main story with parallel plot fossils, telling the romantic adventures of estranged couples, etc. Sh. That is why people paid quite a lot of money to order a copy of the manuscript;

The translator Davit Sardali, that is, Davit Orbeliani, was a person gifted with poetic talent; Therefore, it is not surprising that some fragments of the text of "Karamanian", which are given in the form of a poem in Dedan, are also read in the Georgian translation. Davit Orbeliani, as we have already mentioned, was an educated person at that time and, of course, he was perfectly familiar with the text of "The Panther". The text of "Karamanian" translated by him is abundantly searched for passages created by Rustveli's direct influence, which adds a special charm to the narration. As Davit Lazarev, the publisher of the first printed version of the text, emphasized, the text was translated as "pleasant to listen to" and "beautiful Georgian". According to him, it was this merit of the works that decided to print it. We think that the influence of "Panther" was greatly contributed to the "bestseller of the century" of this Saraindo novel, which is quite clearly felt in the text. In the paper, we will try to present the specifics and peculiarities of this influence.

Key words: Davit Sardali, "Karamanian"